

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი



დემოკრატიისა და მართლმსაჯულების
ინსტიტუტი

წესდება

დეკემბერი 2021
თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი.
3. ორგანიზაციის სახელწოდებაა:
 - 3.1. ქართულად-დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტი; აბრევიატურა-დმი
 - 3.2. ინგლისურად - Institute for Democracy and Justice; აბრევიატურა - IDJ
 - 3.3. რუსულად - Институт демократии и правосудия; აბრევიატურა - ИДП
4. ორგანიზაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე, მის ფარგლებს გარეთ.
5. ორგანიზაციის დამფუძნებელია - ლადო ჯავახიშვილი
6. ორგანიზაციის ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართია: info@idj.ge
7. ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართია: idj.ge

მუხლი 2. მიზნები

1. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებია:
 - 1.1. დემოკრატიული ღირებულებების, სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის: ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საკანონმდებლო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მდგრადი განვითარების, კარგი მმართველობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
 - 1.2. ღია მმართველობის, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების ღიაობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
 - 1.3. კანონის უზენაესობის, სამართლიანი მართლმსაჯულების, სამართლიანი და ობიექტური გამოძიების, საპროკურორო საქმიანობის და სასამართლო ხელისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
 - 1.4. კრიმინოლოგიური კვლევებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა;
 - 1.5. დანაშაულის პრევენციის, საპატიმრო, არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, არსებული სისტემის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
 - 1.6. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა, დაზარალებულთა, მოწმეთა და მართლმსაჯულების სისტემასთან შემხებლობაში მყოფი პირების უფლებების დაცვა, მათი რეაბილიტაციის, რესოციალიზაციის, განათლების, ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების პროცესის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა;
 - 1.7. ადდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებისა და პროგრამების საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაცია, განვითარება და მხარდაჭერა;
 - 1.8. ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, უფლებათა დარღვევის პრევენცია, საერთაშორისო კანონმდებლობითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვის მდგომარეობის მონიტორინგი;

- 1.9. ბავშვების, ახალგაზრდების, ქალების, ეროვნული, ენობრივი, ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირება, მხარდაჭერა, განვითარების ხელშეწყობა, მათი უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა;
- 1.10. საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება, მოქალაქეთა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა.
2. ორგანიზაციას უფლება აქვს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი აქტივობა თუ ღონისძიება, ეწეოდეს კანონით დაშვებულ ნებისმიერ საქმიანობას, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობას და მიიღოს შემოწირულობები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე საქმიანობა და მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
4. ორგანიზაცია და მისი თანამშრომლები მოქმედებენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვით, ხელმძღვანელობენ საყოველთაოდ აღიარებული და პროფესიული ეთიკის ნორმებით და გამორიცხავენ ყოველგვარი დისკრიმინაციის, არასათანადო მოპყრობისა, ძალადობის შესაძლებლობას თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 3. სამეთვალყურეო საბჭო

1. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა (სამეთვალყურეო და მაკონტროლებელი) ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - სამეთვალყურეო საბჭო).
2. სამეთვალყურეო საბჭო მონიტორინგს უწევს ორგანიზაციის განვითარებას, სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებების განხორციელების პროცესს, აგრეთვე ზედამხედველობას უწევს დირექტორის საქმიანობას.
3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:
 - 3.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.
 - 3.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება გრძელდება 2 წლის განმავლობაში.
 - 3.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა დაშვებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის გადაწყვეტილებით, წევრის საკუთარი ინიციატივით ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ორგანიზაციის მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის.
 - 3.4. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა წევრთაგან, დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, მისი წევრობის უფლებამოსილების ვადით.
 - 3.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა, სადაც მოხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატურების განხილვა და ახალი წევრის

მიღება. ახალი წევრი მიიღება იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი წევრს, რომელსაც ვადამდე შეუწყდა წევრობა.

4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა:

4.1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, უშუალოდ, ან დისტანციური ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

4.2. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

4.3. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღებისას ხმები გაიყო, გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4.4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, სადაც აისახება სხდომაზე განხილული საკითხები და გადაწყვეტილებები.

4.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე ორი წევრის მიერ.

4.6. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფას ახდენს დირექტორი.

5. სამეთვალყურეო საბჭო (უფლებამოსილებები):

5.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს;

5.2. თანხმობას იძლევა ორგანიზაციის დირექტორის დანიშვნაზე; საჭიროების შემთხვევაში ატარებს დირექტორობის კანდიდატებთან გასაუბრებას.

5.3. თანხმობას იძლევა ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის და ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების დასამტკიცებლად;

5.4. სულ მცირე წელიწადში ერთხელ ან მოთხოვნისთანავე ისმენს ორგანიზაციის ანგარიშს და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;

5.5. საჭიროების შემთხვევაში წლიური ანგარიშის შესახებ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს;

5.6. თანხმობას იძლევა ორგანიზაციის მიერ იურიდიული პირის დაფუძნების საკითხზე;

5.7. ამტკიცებს დირექტორის საქმიანობის აღწერილობას და ზედამხედველობას უწევს მას;

5.8. ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით აჩერებს დირექტორის გადაწყვეტილების მოქმედებას თუ იგი ეწინააღმდეგება ორგანიზაციის წესდებას ან სტრატეგიულ ხედვას; შეჩერების მიზეზი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წერილობით უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს;

5.9. ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 4/5-ის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ორგანიზაციის დირექტორს. გადააყენების მიზეზი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წერილობით უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს;

5.10. წყვეტს სხვა ისეთ საკითხებს, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ წესდებაში და არ განეკუთვნება აღმასრულებელ ფუნქციებს.

6. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

6.1. ზედამხედველობს დირექტორის საქმიანობას და საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას;

6.2. საჭიროების შემთხვევაში ასრულებს აღმასრულებელ ფუნქციებს, როდესაც ორგანიზაციას არ ჰყავს დირექტორი;

6.3. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევს რიგგარეშე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას;

6.4. შეუძლია ეს უფლებამოსილებები გადაანდოს დირექტორს, ორგანიზაციის სხვა თანამშრომელს, და/ან სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს;

- 6.5. უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს;
- 7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:
 - 7.1. ეკატერინე ილურიძე
 - 7.2. დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი
 - 7.3. თათია ხოჭოლავა
 - 7.4. მაია ცირამუა
 - 7.5. შორენა ზედგინიძე

მუხლი 4. დირექტორი

- 1. დირექტორის დანიშვნა
 - 1.1. დირექტორს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს გადაწყვეტილებით.
 - 1.2. განსაზღვრული ვადით დირექტორის დანიშვნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო 1 წლით თუ სამეთვალყურეო საბჭო არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას ან არ აირჩევს ახალ დირექტორს.
 - 1.3. დირექტორის კანდიდატურას თანხმობა გამოცხადებულად ჩაეთვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
- 2. ორგანიზაციის დირექტორი:
 - 2.1. წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას წესდებაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად;
 - 2.2. მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - 2.3. ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, იძენს და განკარგავს ორგანიზაციის ქონებას;
 - 2.4. ამტკიცებს და ხელს აწერს ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებს;
 - 2.5. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის მისაღებად წარუდგენს ორგანიზაციის სტრატეგიულ გეგმას და ინფორმაციის ძირითადი საქმიანობის შესახებ;
 - 2.6. ამტკიცებს ორგანიზაციის სტრუქტურას, წყვეტს საკადრო საკითხებს, ნიშნავს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს. განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების პირობებს, წყვეტს თანამშრომელთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს;
 - 2.7. განკარგავს ორგანიზაციის ფულად სახსრებს, მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას. (მათ შორის, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში)
 - 2.8. წელიწადში ერთხელ ან სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობისა მიღწეული შედეგების შესახებ;
 - 2.9. წყვეტს ორგანიზაციის ადგილობრივ და საერთაშორისო კოალიციებში, გაერთიანებებში, ფორუმებში, ასოციაციებში და ორგანიზაციებში გაერთიანების საკითხს;
 - 2.10. უზრუნველყოფს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას;

- 2.11. ასრულებს ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა აღმასრულებელ ან სხვა ნებისმიერ ფუნქციას.
3. დირექტორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ვალდებულებებს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
4. ორგანიზაციის დირექტორი შეიძლება ახორციელებდეს კონკრეტული პროექტით განსაზღვრულ სამუშაოს. ამ შემთხვევაში, მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი.

მუხლი 5. ორგანიზაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს დამფუძნებელი. ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
 - ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
 - გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
7. თუ დამფუძნებელმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.
8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი დამფუძნებლის მიერ ხელმოწერისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებისთანავე.
2. წესდების ცვლილების უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციის დამფუძნებელს. დამფუძნებელი უფლებამოსილია წესდებაში ცვლილების შეტანის უფლება გადაანდოს მის მიერ განსაზღვრულ პირს.
3. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
4. ორგანიზაციის საქმიანობიდან ან ამ წესებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებში.

ხელმოწერა: